სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 03

2020 წ. "08" 04

ქ.თბილისი

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მიერ „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2020 წლის 7 აპრილს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის №160 კორესპონდენციით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №332430) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის №42 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2020 წლის 8 აპრილს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 28^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის 2020 წლის 7 აპრილის №160 (ცენტრში რეგისტრაციის №332430) სააპელაციო საჩივარი.
2. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 8 აპრილის №2 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი